ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №405794

ნომერი: AR187596

თარიღი : 19.10.2012

გაცემის თარიღი : 07.11.2012

გაცნობის თარიღი : 08.11.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N 13 / ქალაქი თბილისი , კოჯრის გზატკეცილი, სტელა "თბილისი"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კოჯორი , N13-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/004);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ტიკურიშვილი პ/ნ 01024012114
- თბილისი ლ.გოთუას ქ. N 22 ბ. 118

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR187596 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში კოჯრის გზატკეცილი #13, კოჯრის გზატკეცილი, სტელა „თბილისი“–ს მიმდებარედ; კოჯრის გზატკეცილი #13–ის მიმდებარედ (ნაკვ. #06/004) რეკვიზირებისა და დეკორაციების შესანახი შენობა–ნაგებობის განთავსებაზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნულ განაცხადზე თანდართული ესკიზური სქემის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ახალი ნაგებობის განთავსება იგეგმება იმ ადგილზე, რომელიც დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად მოქცეულია ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონაში, წარმოადგენს თბილისის (ადმინისტრაციულ) საზღვრებში არსებულ ბუნებრივი ლანდშაფტის ან ფასეული ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიას, სადაც შესაძლებელია მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების განთავსება კანონმდებლობის შესაბამისად. რადგან მითითებულ ზონაში ვერ მოხდებოდა დაგეგმილი პროექტის განხორციელება, მისი ცვლილების საკითხი სამსახურის მიერ წარდგენილ იქნა „ქ. თბილისი ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის“ 2012 წლის 24 ოქტომბრის #42 სხდომაზე, რომელზეც მიიღო დადებითი რეკომენდაცია ლანდშაფტურ–სარეკრეაციო ზონის სარეკრეაციო ზონა 2–ად (რზ-2) გადაკეთების თაობაზე (იხ. დანართი). საბოლოო შედეგისთვის საკითხი უნდა განხილულ იქნეს ქ. თბილისის საკრებულოს სხდმაზე. ამასთან, სარეკრეაციო ზონა 2–ში დაგეგმილი მშენებლობის განხორციელება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. ამიტომ ფუნქციური ზონის შეცვლის შემდგომ საკითხი განმეორებით უნდა განიხილოს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომამ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.